საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ზურაბ ძლიერიშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 29 აპრილი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ზურაბ ძლიერიშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე (3 ვაკანსიაზე) ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა ზურაბ ძლიერიშვილი (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე -

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„დ“ წერის უნარი;

„ე“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

„ზ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 20 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 20 ქულა;

„გ“ წერის უნარი – 20 ქულა;

„დ“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი – 15 ქულა;

„ე“ პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში) – 15 ქულა;

„ვ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა;

„ზ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საგჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

2.1.1. „კანდიდატი“ 50 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, თსუ), იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ). სპეციალობით მუშაობს 28 წელია, მათ შორის - მოსამართლედ 9 წელი და 6 თვე. კერძოდ:

- 1998-2006 წლები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

- 2001-2006 წლები, საქართველოს უზენაესი სასამართლო, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი;

- 2001-2003, ასევე, 2014 წლები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის წევრი;

- 2005-2006 წლები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდების კომისიის წევრი;

- 2003-2007 წლები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, კონსტიტუციურ სარჩელებზე მოწვეული სპეციალისტი;

- 2006-2008 წლები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მოწვეული ექსპერტი, სხვადასხვა საერთაშორისო არბიტრაჟებში მიმდინარე დავებში, საექსპერტო-სამართლებრივი დასკვნების მომზადება;

- 2006-2008 წლები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრი;

- 2009 წლის დეკემბრიდან 2014 წლის ოქტომბრამდე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ეთიკის კომისიის წევრი;

- 2009 წლის სექტემბრიდან 2014 წლის სექტემბრამდე, თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი, არბიტრი;

- 2012-2014 წლები, კომპანიების გადახდისუუნარობის საქმეებზე მომრიგებელი საბჭოს სასამართლოს მიერ დანიშნული წევრი;

- 2013-2014 წლები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, საგანმანათლებლო საბჭოს წევრი;

- 2014 წლის 17 ოქტომბრიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლო, მოსამართლე;

- 2014 წლის 29 ოქტომბრიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და დიდი პალატის წევრი;

- 2015 წლის 7 მარტიდან 2017 წლის 8 მარტამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარე;

- 2020 წლის 4 სექტემბრიდან 2022 წლის 18 აპრილამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის თავმჯდომარე;

- 2019 წლის 18 აპრილიდან 2022 წლის 18 აპრილამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის წევრი.

2.1.2. „კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს „კანდიდატის" კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის აკადემიურობას, შრომისმოყვარეობას, პრინციპულობას, სასამართლო გადაწყვეტილების/განჩინების ღრმა და საფუძვლიანი დასაბუთების უნარს, კეთილსინდისიერებას და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს. გამოკითხული რესპონდენტები „კანდიდატის" პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას კარგად იცნობენ. მათი აზრით, „კანდიდატი" სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები „კანდიდატს" აფასებენ მაღლიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატის" შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. „კანდიდატი" არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს" სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი, არც საკრედიტო ისტორია. „კანდიდატის" სახელზე ქ. თბილისში, რეგისტრირებულია უძრავი ქონება: ორი ბინა - 35 კვ.მ. და 44 კვ.მ. ასევე, მიწის ნაკვეთი 7560 კვ.მ. დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მჭადიჯვარში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.5. 2021 წლის თებერვლიდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით, „კანდიდატი" ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატის" მხარედ მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. „კანდიდატის" მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

2.1.7. „კანდიდატს“ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 98.9% შემთხვევაში. „კანდიდატს“, საანგარიშო პერიოდში (967 დღე), დასრულებული აქვს 495 საქმე, დღეში საშუალოდ 0,5 საქმე.

2.1.8. „კანდიდატმა“ წარმოადგინა მის მიერ განხილულ, 7 საქმეზე გამოტანილი განჩინებები.

2.1.9. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: სემინარი თემაზე - სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები; საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი თემაზე - „კაპიტალის ბაზრის სამართლის განვითარების გამოწვევები და პერსპექტივები: ევროპული დისკუსია და მისი მნიშვნელობა საქართველოს კაპიტალის ბაზრის რეგულირებისათვის“; ფორუმი თემაზე - „გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული „ბენჩბუქის“ მომზადება“ დ ა.შ.).

2.1.10. „კანდიდატს“ 2005 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2.1.11. „კანდიდატი“ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ: 2012 წლიდან, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, პროფესორი, სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი; 2017 წლიდან, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს წევრი; 2012 წლიდან, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს წევრი; 2014 წლიდან, იუსტიციის უმაღლესი სკოლა, მოწვეული ლექტორი; 2010-2017 წლები, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრი, მოწვეული ლექტორი; 2008-2018 წლები, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, მოწვეული პროფესორი; 2012-2022 წლები, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი; 2014-2018 წლები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი; 2007-2016 წლები, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი; 2013-2017 წლები, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი; 2006-2017 წლები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი; 2008-2017 წლები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, მოწვეული პროფესორი; 2005-2008 წლები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი, სადისერტაციო საბჭოს წევრი, სამოქალაქო საპროცესო სამართლის საპროფესოროს ხელმძღვანელი; 1999-2005 წლები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, დოცენტი, სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგის მოადგილე; 2001-2003 წლები, მოსამართლეთა სასწავლო ცენტრი,

მოწვეული ლექტორი; 1997-1999 წლები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის მასწავლებელი.

„კანდიდატს" გამოქვეყნებული აქვს რიგი შრომები (სამეცნიერო სტატია/მონოგრაფია/წიგნი (მაგ: სტატია თემაზე - გაქვითვის შესაძლებლობა მოთხოვნის ხანდაზმულობისას; სახელმძღვანელო - სამოქალაქო საპროცესო სამართალი; სტატია თემაზე - ვალდებულების შეწყვეტა სხვა შესრულების მიღებით და ა.შ.), იგი არის სხვადასხვა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, სადოქტორო სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი/რეცენზენტი/ოპონენტი.

2.1.12. „კანდიდატი" ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. „კანდიდატის" საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს" წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. დასმულ შეკითხვებზე „კანდიდატის" პასუხები გარკვეულ საკითხებში არ იყო სრული და ამომწურავი, კერძოდ: შ.შ.მ პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატურულ ოქმზე, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მანდატზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილი საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე.

არასწორი პასუხები გასცა სისხლის სამართლის პროცესში კანონის ანალოგიის გამოყენების შესახებ დასმულ კითხვას, ამნისტიის აქტის კონსტიტუციურობის შემოწმების შესაძლებლობის შესახებ კითხვას და მხილების ინსტიტუტის არსზე დასმულ შეკითხვას.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი";

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა";

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“;

ე) „ფინანსური ვალდებულება“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, შესაბამისად მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ძალიან კარგი ცოდნა. იგი ზუსტად და სიღრმისეულად აღიქვამს გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და დანიშნულებას. ამასთან, „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილ განჩინებათა შეფასების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატს სწორად შეუძლია დაინახოს პრობლემის არსი, მოიძიოს და განსახილველ სამართალურთიერთობას ადეკვატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. მიმაჩნია, რომ კანდიდატი კარგად არის გათვიცნობიერებული და სიღრმისეულად ერკვევა არა მხოლოდ ეროვნული სასამართლოს, არამედ ზოგადად სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პრობლემურ საკითხებში. აღნიშნულიდან გამომდინარე და მათ შორის გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატს გააჩნია სამართლის მთელი რიგი საკითხების მეცნიერული ცოდნა, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო სამართლიდან.

4.1.2. „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში „კანდიდატს“ მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებულია დამაჯერებლად და დასაბუთებულია კვალიფიციურად. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებით, „კანდიდატს“ გააჩნია სამართლებრივი

პრობლემების სწორად დანახვის, მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთისა და მართებული გამოსავლის პოვნის უნარი. ამასთან, „კანდიდატს“ შეუძლია ცალკეულ სამართლებრივ საკითხებზე არსებული სასამართლო პრაქტიკის, შიდასახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობის სწორი შედარებითი და საგნობრივი ანალიზი, რაც მას აძლევს საშუალებას საკუთარი დასკვნის საფუძვლიანად და მყარად ჩამოყალიბებაში.

4.1.3. „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატი“ წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, „კანდიდატის“ მსჯელობა ლოგიკური და ანალიტიკურია. მიუხედავად განხილული საკითხების სირთულისა, აზრი ნათლად და გარკვევით არის გადმოცემული.

4.1.4. „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს თანმიმდევრულად და ლოგიკურად, ღიაა და გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებულის) მოთმინებით მოსმენის უნარი. მას შეუძლია სამართლის მატერიალური და საპროცესო ნორმების სიღრმისეული ცოდნის გათვალისწინებით დაიცვას საკუთარი პოზიცია კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში.

4.1.5. „კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, აღჭურვილია კარგი მესეჯერული უნარ-ჩვევებით. საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებასაც იღებს დაუხმარებლად და დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე. აქვს სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი, რის გამოც არის პროდუქტიული და ზედმიწევნით იცავს საპროცესო ვადებს. აღსანიშნავია, საქმეთა განხილვის თაობაზე მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის თანახმად, „კანდიდატს“ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 98.9% შემთხვევაში. ასევე, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ხარისხიანად ასრულებს სამოსამართლო უფლებამოსილებას.

4.1.6. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა შეხვედრებსა და ღონისძიებებში. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. მიმაჩნია, რომ „კანდიდატი“ მრავალმხრივ რეალიზებული პროფესიონალია.

4.1.7. „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აყენებს კარგ იდეებს/წინადადებებს. ამასთან, ეწევა აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მოსამართელეობის კანდიდატი ზურაბ ძლიერიშვილი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 91 ქულით.

1. სამართლის ნორმების ცოდნა - 18
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 19
3. წერის უნარი - 19
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 13
5. პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში) – 13
6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5
7. პროფესიული აქტივობა - 4

ვასილ მშვენიერაძე